ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3381333

ნომერი: AR1494766

თარიღი : 27.04.2017

გაცემის თარიღი : 07.07.2017

გაცნობის თარიღი : 07.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა ჭირნახული , N 9 , (ნაკვ. 03/013) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოგია პ/ნ 01024020629
- ჭავჭავაძის 1 ჩიხი #6

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: N451110
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 30.11.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასაწყობე დანიშნულების შენობა- ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან სიხარულიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ჰექსასტილი შპს

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404935898

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ვესტ თრეველ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205143824
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან გოგია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024020629

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 6421.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 565.68
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 410.0
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 370.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 40.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2240.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1770.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 470.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.22
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.87
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.35
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 27 აპრილის AR1494766 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. შესაბამის ველებში მიუთითეთ შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები - №971308, 29.10.2013;
2. სატიტულო ინფორმაცია. -> .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვინაიდან შეიცვალა პროექტის მთავარი არქიტექტორი, საჭიროა წარმოადგინოთ პროექტის ავტორის თანხმობა კორექტირებასთან დაკავშირებით;
3. დამკვეთის ინფორმაცია. -> .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ზემოაღნიშნულ ველში, შპს "ვესტ თრეველის" ნაცვლად შპს "ვითიბი ჯგუფი" უნდა დაფიქსირდეს.
4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება 2014 წლის 12 დეკემბერის №17-55 ქ. თბილისი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გენგეგმასა და პირველი სართულის გეგმაზე დაიტანოთ ზომები არსებული ხე/ნარგავებიდან საპროექტო ობიექტამდე. იმ შემთხვევაში თუ პროექტირების შედეგად ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მოჭრა/გადატანა, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან აღნიშნულთან დაკავშირებით;

- ტოპოგრაფიულ რუკაზე დაიტანეთ საკადასტროზე არსებული შენობა-ნაგებობა #2/1;
- საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ. შესაბამისად, ვინაიდან, თქვენ მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით საპროექტო ობიექტის სიმაღლე აღემატება დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლის მნიშვნელობას, საჭიროა აეროდრომის ექსპლუატანტ შპს „ტავ ურბან საქართველო“-სთან შეათანხმოთ შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე და შესაბამისი დოკუმენტი წარმოადგინოთ არქიტექტურის სამსხურში (იხ. დანართი).

5. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: განაახლეთ ზემოაღნიშნულის შესაბამისად;
6. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ უახლესი ფოტომასალა თარიღის მითითებით;
7. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, ჭრილები, ფასადები მასშტაბი 1:100. -> .გეგმების, ჭრილების, ფასადების pdf ფაილი.: შენობა-ნაგებობის გრაფიკულ ნაწილებზე (ჭრილები, ფასადები) დაიტანეთ საკადასტრო წითელი ხაზები და შენობა-ნაგებობის მათთან მიბმის მანძილები;
8. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განაახლეთ ზემოაღნიშნულის შესაბამისად;
9. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში : იპოთეკარის 23.05.17 წლის თანხმობა მისაღები არ არის, ვინაიდან არ დგინდება ხელმომწერი პირის უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სს"საქართველოს ბანკის" წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა, ან იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ დავით ესიავას აქვს მსგავსი თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.